თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექციის განცხადება

პაატა გუგუშვილის სახელობის პრემიის დაარსება არის მნიშვნელოვანი მოვლენა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის საქართველოში. ამდენად, მიგვაჩნია, პრემიამ თავისი ფუნქცია რომ შეასრულოს, ის უნდა ჩატარდეს მეტად ობიექტურად, ამიტომ ჩაიდო პრემიის მინიჭების წესში ნაშრომების საჯარო განხილვის მექანიზმი, დაინიშნა ობიექტური კომისია და დაწესდა ნაშრომთა შეფასების კრიტერიუმები..

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ რაიმე ზეგავლენა ინსტიტუტის ხელმძღვანელობისგან კომისიის მუშაობაზე არ და ვერ განხორციელდება.

კონკურსი უნდა ჩატარდეს მშვიდ და ობიექტურ გარემოში, სხვაგვარი დამოკიდებულება იქნება არაეთიკური როგორც, ეკონომიკური საზოგადოების, ისე ინსტიტუტისა და იმ პიროვნების მიმართ, ვის სახელსაც პრემია ატარებს.

იმისათვის, რომ ობიექტური შეფასება გავაკეთოთ, მონაწილეებს, ვთხოვთ, გაეცნონ ერთთმანეთის ნაშრომებს და დაესწრონ საჯარო განხილვებს

ჩვენი თხოვნაა, გამოვრიცხოთ ყოველგვარი წინასწარი აჟიოტაჟი და არ ავყვეთ ჭორებს, თუკი ასეთს ადგილი ექნება

გასათვალისწინებელია ის, რომ ყველა ნაშრომი შეიძლება იყოს საუკეთესო, მაგრამ გამარჯვებული იქნება მხოლოდ ერთი.

კონკურსანტებს ვუსურვებთ წარმატებებს, საზოგადოებას კეთილ განწყობას.